პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 11 ივნისი, 1943 წ. № 125 (6750). ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის ფინსახკომის ცნობა

ა. წ. 5 ივნისს 12 მილიარდი მანეთის რაოდენობით გამოშვებული მეოთხე სახელმწიფო სამხედრო სესხი 9 ივნისის დამლევისათვის გავრცელებულია 20.121.000.000 მანეთის რაოდენობით, რაც ნიშნავს 8.121.000.000 მანეთის გადამეტებით შესრულებას. სესხზე ხელმოწერა გრძელდება.

სსრ კავშირის ფინსახკომი ა. ზვერევი.

ბოლშევიკურად ვემზადოთ მოსავლის აღებისათვის

სოციალისტურ სოფელში გაჩაღებულია ბოლშევიკური ბრძოლა უხვი სამხედრო მოსავლისათვის. წელს საგაზაფხულო თესვა გაცილებით უფრო ორგანიზებულად და მაღალხარისხოვნად ჩატარდა, ვიდრე წინა წლებში. დაითესა უფრო მეტი ფართობი. კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მტს-ებმა მტკიცე საფუძვლები შეჰქმნეს მაღალი მოსავლის მისაღებად. წარმატებით მიმდინარეობს ნათესების მოვლა-დამუშავება. ამასთან ერთად საჭირო აქედანვე ფართოდ გაიშალოს მზადება მოსავლის აღების დროულად და ორგანიზებულად ჩატარებისათვის. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მოსავლის აღება უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კამპანიაა.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „1943 წელს მარცვლეულ თავთავიან კულტურათა მოსავლის აღების, გალეწვისა და დამზადების შესახებ“, რაც ჩვენი გაზეთის 9 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა, გასნუხრელად და ზუსტად უნდა შესრულდეს. უხვი სამხედრო მოსავალი საჭიროა ავიღოთ უდანაკარგოდ, დროულად და ორგანიზებულად. დადგენილება მოითხოვს ერთი დეკადის ვადაში შესდგეს თითოეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და მტს-ის მიხედვით მოსავლის აღების გეგმები ისე, რომ მათში გათვალისწინებულ იქნას მთელი ამ სამუშაოს უნარიანად და სწორად შეხამება სათოხნ კულტურათა ნათესების გათოხნა-დამუშავებასა და ადრეულ ბოსტნეულ კულტურათა აღებასთან. მოსავლის უდანაკარგოდ აღება ბევრად არის დამოკიდებული კოლმეურნეობათა მუშახელისა და სხვა საწარმოო შესაძლებლობათა სწორ განაწილებაზე, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების წინაშე დგას ამოცანა: სანიმუშოდ მოემზადონ მოსავლის ასაღებად, უზრუნველჰყონ პირეულის მასობრივი აღების დაწყებამდე არა უგვიანეს 5-7 დღით ადრე კომბაინების, სალეწი მანქანების, მოსავლის ასაღები და მარცვალსაწმენდი სხვა მანქანა-ინვენტარის — ძნისმკნავების, სამკელების, სათიბი მანქანების, ცელების, ნამგლების და ა. შ. რემონტის დამთავრება, რისთვისაც სრული დატვირთვით უნდა იმუშაონ საკოლმეურნეო სამჭედლოებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოებმა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფართობების წინასწარ გამორკვევას და ნატურით მათ მიმაგრებას კომბაინებზე, მოსავლის ასაღებად ნაკვეთების მომზადებას, მათი კუთხეების მოცელვას, მისადგომი გზებისა და ხიდების შეკეთებას. კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების დირექტორები, აგრონომები, მექანიკოსები, კომბაინერები, მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

კომბაინები შეუფერხებლად უნდა მუშაობდნენ, მოსავლის ასაღები სხვა მანქანები და ცოცხალი გამწევი ძალა უნარიანად უნდა იქნას გამოყენებული, რათა ადგილი არ ექნეს მოსავლის აღების გაჭიანურებას და გაუზიდავობის მიზეზით მის გაფუჭებას. მანქანების მოძრაობის გრაფიკი ზუსტად უნდა დავიცვათ. აქედანვე უნდა დავაგროვოთ ყველა სახის საწვავი და საცხები მასალები მოსავლის აღებისათვის. ასევე სერიოზული ამოცანაა მოსავლის ასაღები აგრეგატების — კომბაინებისა და ტრაქტორების მომსახურებისათვის მოვაწყოთ მოძრავი სახელოსნოები, როგორც ავტომანქანებზე, ისე ცხენებზე.

მოსავლის ხელით ასაღებად საჭიროა საკმაო რაოდენობით გამოვყოთ კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები, ამასთან უზრუნველვყოთ ისინი ისეთი ინვენტარით, როგორიცაა ნამგლები და ცელები. თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოსავლის აღების დაწყებამდე უნდა გამოიყოს და მომზადდეს კალოები, კატეგორიულად არის აკრძალული ძველ კალოებზე გალეწვა, თუ ისინი წინასწარ არ იქნა გაუვნებლებული და მომწვარი.

მოსავლის აღებაში გასული წლის შეცდომები წელს აღარ უნდა იქნას დაშვებული. საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი რაიონული, საბჭოთა, პარტიული, სამეწარმეო ორგანოების ხელმძღვანელებისაგან და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისაგან მოითხოვენ „სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, ყველა კოლმეურნისა და კოლმეურნე ქალის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ყურადღების მობილიზაციის საფუძველზე მიაღწიონ მარცვლეულ კულტურათა მოსავლის აღებასა და 1943 წლის მოსავლის პირეულის დამზადებათა ორგანიზებულად დამთავრებას მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში“.

სოციალისტური სოფელი დიდ პატრიოტულ აღმავლობას განიცდის. ამის საუკეთესოდ გამომხატველია ის უდიდესი წარმატება, რაც მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხმა მოიპოვა, კერძოდ, სოფლად. კოლმეურნეებმა დიდ თანხებზე მოაწერეს ხელი. საკოლმეურნეო სოფელში კვლავ ბრწყინვალედ ტარდება სესხზე ხელმოწერა ლოზუნგით: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!“ ეს პატრიოტული აღმავლობა ბუნებრივია ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სანიმუშოდ ჩატარებას.

ფრონტს, ჩვენს ქვეყანას წელს კიდევ უფრო უხვად უნდა მივცეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. სამამულო ომის გადამწყვეტ მომენტში, როცა წითელი არმია დიდი **სტალინის** ბრძნული მხედართმთავრობით გმირულ ბრძოლას ეწევა გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ და აახლოვებს ჩვენი საბოლოო გამარჯვების ჟამს, სოციალისტურმა სოფელმა მაღალი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლის ახალი სანიმუშო მაგალითები უნდა გვიჩვენოს.

ბოლშევიკურად ვემზადოთ უხვი სამხედრო მოსავლის ასაღებად!

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

9 ივნისის დილის ცნობა

8 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 5 ნაწილის არტილერისტებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს გერმანელთა პოზიციებზე. არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მტრის 2 ქვემეხი და აფეთქებულია საწყობი სამმარ მასალიანად. წითელარმიელმა ამხ. გავოსტინმა, რომელიც საბრძოლო დაცვაში იყო, ხელის ტყვიამფრქვევის რამდენიმე ჯერით გასწყვიტა გერმანელ მზვერავთა ჯგუფი.

* * *

სევსკის რაიონში ერთ-ერთ უბანზე მტერმა ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარის ძალით და ტანკების დახმარებით იერიში მოიტანა ჩვენს ქვეგანაყოფებზე. ჰიტლერელთა იერიში ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს. ბრძოლის შედეგად გაწყვეტილია მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი, დაზიანებულია ტანკი და ქვეითი ჯარის იარაღის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა თვითმფრინავი.

* * *

იზიუმის სამხრეთით გერმანელი მეავტომატეები ცდილობდნენ დაეზვერათ ჩვენი თავდაცვის წინა კიდე. 5 ნაწილის მებრძოლებმა ნღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით მტერი გაჰფანტეს. სხვა უბანზე არტილერიის ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა ორი ბლინდაჟი, მოსპობილია თვითმავალი ქვემეხი და მტრის 4 ტყვიამფრქვევი. 5 ნაწილის სნაიპერებმა გუშინდელი დღის განმავლობაში 38 ჰიტლერელი გასწყვიტეს.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენმა არტილერისტებმა დაანგრიეს მტრის 4 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 3 ბლინდაჟი, მოსპეს მტრის საარტილერიო ბატარია და 6 ტყვიამფრქვევი. იმ ქვეგანაყოფის ნაღმტყორცნელებმა, რომლის მეთაურიც არის უფროსი ლეიტენანტი ამხ. ბუტენკო, სამი დღის განმავლობაში მოსპეს მტრის საზენიტო ქვემეხი, 4 ნაღმსატყორცნი და დაანგრიეს 5 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი.

* * *

კიევის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი დიდ დასახლებულ პუნქტში შეიჭრა. საბჭოთა პატრიოტებმა აფეთქეს გერმანელთა ავტოსარემონტო სახელოსნოები, 3 გარაჟი, მოსპეს 44 საწვავი, 7 სატვირთო ავტომანქანა და დასწვეს საწყობი საწვავიანად. კიეველ პარტიზანთა სხვა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო ფრონტის ხაზისაკენ მიმავალი მტრის სამხედრო ეშელონი. მარცხის დროს მოსპობილია ორთქლმავალი და 8 ვაგონი, მოკლული და დაჭრილია ბევრი ჰიტლერელი.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანელთა 86-ე ქვეითი დივიზიის ერთ-ერთი ქვეგანაყოფის სამი ჯარისკაცი. გადმოსულმა პაულ ლ-მ განაცხადა: „ფრონტზე რომ მოვხვდი, გადაეწყვიტე რუსების მხარეზე გადმოვსულიყავი და დავიწყე თანამოაზრეების ძებნა. ზურგში და არმიაში ყველას ძალიან ეშინია დამბეზღებლებისა და გესტაპოს აგენტებისა. ამიტომ ძალიან ფრთხილად ვმოქმედებდი. როცა ჯარისკაცს ჰენრიხს გავეცანი, დავრწმუნდი, რომ შეიძლებოდა მისი ნდობა და დაეუწყე საუბარი. მე ჰენრიხს ვუთხარი, რომ გერმანიის არმიისათვის დაიწყო დამარცხებათა პერიოდი და შორს აღარ არის ის ჟამი, როცა იგი სავსებით მოსპობილ იქნება. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ჩვენ შევთანხმდით რუსთა მხარეზე გადმოვსულიყავით. ჩვენ მოვაბარეთ კიდევ ჯარისკაცი იოჰანს მომხრობა. ამ დღეებში სამივენი ტყვედ დავნებდით“.

* * *

ჩეხოსლოვაკიელი პატრიოტები თავდადებით ებრძვიან გერმანელ ოკუპანტებს. ქალაქ ზლინის რაიონში მუშებმა დასწვეს სამხედრო საწყობი. დაიწვა დიდძალი ფეხსაცმელი. რომელიც გერმანიის არმიისათვის იყო დამზადებული. პრაღის მახლობლად პატრიოტებმა სროლა აუტეხეს „სს“-ელთა რაზმს. ბრნოს რაიონში რკინიგზელებმა ლიანდაგიდან გადააგდეს მატარებელი საზენიტო ქვემეხებიანად.

9 ივნისის საღამოს ცნობა

9 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა ავიაციამ ბარენცის ზღვაში ჩასძირა გერმანელთა ტრანსპორტი, ბალტიის ზღვაში ჩაძირულია მტრის ტრანსპორტი და 3 საგუშაგო კატერი.

* * *

8 ივნისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს მტრის 40-მდე ავტომანქანა ჯარიანად და ტვირთიანად, დაამსხვრიეს რკინიგზის ეშელონი, აფეთქეს საომარი მასალის და საწვავის რამდენიმე საწყობი, ჩაახშეს 2 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გასწყვიტეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა გასწყვიტეს მტრის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 3 ქვემეხი, 7 ტყვიამფრქვევი, 6 სათვალთვალო პუნქტი და აფეთქეს საომარი მასალის საწყობი. 5 ნაწილის მზვერავმა რაზმმა მტრის ზურგში შეაღწია და თავს დაესხა გერმანელებს, რომლებიც თავდაცვითს მუშაობას ეწეოდნენ. ჩვენმა მებრძოლებმა დახოცეს 30-მდე ჰიტლერელი, ხელთ იგდეს ტყვეები და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში საბჭოთა არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 2 ქვემეხი, დაანგრიეს 3 ბლინდაჟი, სათვალთვალო პუნქტი და გასწყვიტეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი. ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 3 თვითმფრინავი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით კანტი-კუნტი სროლა იყო ორივე მხრივ. გვარდიელმა ნაღმმტყორცნელებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მტრის პოზიციებზე, დაანგრიეს 7 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, გასწყვიტეს 70-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მზვერავები—ლეიტენანტი ამხ. ლიახი, წითელარმიელები ამხ. რიჩკოვი, ნეგერდოვსკი, სიმეიკინი, ჩეგიჩელოვი და მანცუროვი თავს დაესხნენ მტრის საბრძოლო დაცვას და 20 ჰიტლერელი დახოცეს.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გასწყვიტეს მტრის 2 ასეულამდე ქვეითი ჯარი. არტილერიის ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 15 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 6 ბლინდაჟი, აფეთქებულია საომარი მასალის 2 საწყობი, მოსპობილია 8 აეროპლანი და რამდენიმე საზენიტო ტყვიამფრქვევი. მზვერავთა ჯგუფმა სერჟანტ ამხ. კრიეენკოვის მეთაურობით ავტომატებითა და ხელის ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ თეთრფინელთა ჯგუფი შეამჩნია. ჩვენმა მებრძოლებმა ახლო მანძილიდან სროლა გააჩაღეს და მტრის 40-მდე ჯარისკაცი დახოცეს. მზვერავებმა ხელთ იგდეს 4 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ავტომატი და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ვიტებსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა ბელორუს პარტიზანთა რაზმმა რამდენიმე დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა ორმაგი წევის 3 სამხედრო ეშელონი, რომლებიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდნენ. დამსხვრეულია 6 ორთქლმავალი, 35 ვაგონი საომარ მასალიანად, 40 ვაგონი სურსათიანად და 10 ვაგონი სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად. ერთ დასახლებულ პუნქტში საბჭოთა პატრიოტებმა დასწვეს მტრის დიდი საწყობები.

* * *

გერმანელთა 51-ე გამანადგურებელი ესკადრის საშტაბო რაზმის უნტერ-ოფიცერმა ფრინც კლიუგმა, რომელიც ტყვედ არის წამოყვანილი 5 ივნისს, განაცხადა: „22 მაისს ჟურსაზე თავდასხმისას გერმანიის ავიაციამ დამარცხება განიცადა. სარდლობამ რამდენიმე ოფიცერი პასუხისგებაში მისცა იმისათვის, რომ მათ მეტისმეტად დიდი ზარალი დაუშვეს. ავიაციის ერთი მაიორი, რომელიც წინათ დაჯილდოებული იყო რაინდის ჯვრით, სამართალში მისცეს. მაგრამ ჟურსაზე 2 ივნისს კვლავ მოხდარმა თავდასხმამ კიდევ უფრო მძიმე ზარალი გამოიწვია. მარტო ორიოლის დაჯგუფებამ ამ დღეს 56 მანქანა დაჭკარგა, ამას გარდა დიდი ზარალი მოუვიდათ სხვა საავიაციო ნაწილებსაც“.

ქიმის მსროლელმა ეფრეიტორმა შორნშტეინმა, რომელიც ტყვედ არის წამოყვანილი 2 ივნისს, განაცხადა: „მე 1943 წლის 22 მაისს მოვედი საფრანგეთიდან ქალაქ სტალინოში 55-ე ბომბდამშენ ესკადრაში. საბჭოთა ქალაქ ჟურსაზე პირველი თავდასხმა, რომელშიც მე მონაწილეობას ვიღებდი, ეკიპაჟისათვის კატასტროფით დამთავრდა რუსებმა ჩამოაგდეს მანქანა და ტყვედ წამოგვყვანეს მფრინავი, მე და რადისტი“.

* * *

სამხრეთ ეპირის რაიონში მოქმედმა ბერძნმა პარტიზანებმა იერიში მიიტანეს იტალიელთა რაზმზე და სასტიკ შეტაკებაში გასწყვიტეს 76 იტალიელი. სხვა რაიონში ათენსალონიკის რკინიგზის ხაზზე ბერძნმა პატრიოტებმა ხერგი მოაწყეს. როდესაც ხერგს იტალიელთა სამხედრო ეშელონი მიადგა, მეძანქანემ მატარებელი გააჩერა. პარტიზანებმა ტყვიამფრქვევთა სროლა გააჩაღეს და მტრის ჯარისკაცთა და ოფიცერთა მნიშვნელოვანი რაოდენობა გასწყვიტეს.

10 ივნისის დილის ცნობა

9 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი არ მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა მოსპეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი და დაანგრიეს მოწინააღმდეგის 8 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის თვითმფრინავი-მზვერავი.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ უბანზე 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა მოსპეს მტრის 1 ქვემეხი, დაანგრიეს 6 ძელმიწური საცეცხლე წერტი და გაჟლიტეს 50-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენს მხარეზე ჯდომოვიდა რამდენიმე პოლონელი ჯარისკაცი, რომლებიც ჰიტლერელთა მიერ ძალით იყვნენ მობილიზებულნი გერმანიის არმიაში.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა 4 ტანკის დახმარებით სცადა იერიში მოეტანა იმ პოზიციებზე, რომლებსაც 5 ნაწილი იცავს. საარტილერიო-სანაღმმტყორცნო და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჰიტლერელები უკუგდებულ იქნენ პირვანდელ პოზიციებზე, ამასთან მათ დიდი ზარალი მოუვიდათ. ქვეითი ჯარის იარაღის ცეცხლით ჩვენმა მებრძოლებმა დააზიანეს გერმანელთა თვითმფრინავი. მოწინააღმდეგეს თვითმფრინავი ჩვენი ჯარების განლაგებაში დაეშვა.

* * *

ბალაკლეის რაიონში ჩვენმა არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა თვითმავალი ქვემეხი, 4 დაზგის ტყვიამფრქვევი და გაჟლიტეს მოწინააღმდეგის ერთი ოცეული ქვეითი ჯარი. 5 ნაწილის სნაიპერებმა ერთი დღე-ღამის განმავლობაში 75 ჰიტლერელი მოსპეს.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე მზვერავთა ჯგუფი ამხ. ნოსიროვის მეთაურობით მოწინააღმდეგის ზურგში ჩასაფრდა. იმ გზით, რომელს აჰლოსკ ჩვენ მებრძოლნი იყვნენ შენიღბულნი, გერმანელთა რაზმი მიდიოდა. მზვერავებმა ავტომატების ცეცხლითა და გრანატებით გაჟლიტეს რამდენიმე ათეული ჰიტლერელი, ხელთ იგდეს ტყვეები და ოთხი ვაგონი ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

ორიოლის ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმი „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს“ რამდენიმე დღის განმავლობაში გადაფარებულ ბრძოლებს ეწეოდა მოწინააღმდეგესთან. ჰიტლერელებმა პატიმანების ბანაღმდგა გამოიყვანეს ქვეითი ჯარის დიდი ძალები, არტილერია, ტანკები და ჯავშანრანი მანქანები. გერმანელ-ფაშისტების ყოველი ცდა, რომ გზის მემორტყმოდნენ და მოესპოთ პარტიზანები, ჩაიფუშა. საბჭოთა პატრიოტები მოულოდნელად ურტყამდნენ მოწინააღმდეგეს და მოხერხებულად აღწევდნენ თავს მდევნელებს. ბრძოლების შედეგად მოკლული და დაჭრილია ერთ ბატალიონზე მეტი ჰიტლერელი. მოლოტოვის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა და პარტიზანულმა რაზმმა „საბჭოების ხელისუფლებისათვის“ მაისის დამლევს გაანადგურეს გერმანელთა გარნიზონები ორ დიდ დასახლებულ პუნქტში, მოსპობილია 100-ზე მეტი ჰიტლერელი. ტყვედ წამოყვანილია რამდენიმე ჯარისკაცი და 2 გერმანელი ოფიცერი, პარტიზანებმა ხელთ იგდეს 4 ტყვიამფრქვევი, 1 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 1 ნაღმსატყორცნი და 15.000 ვაზნა.

* * *

გერმანელთა ბომბდამშენების მე-4 ესკადრილიის მე-3 ჯგუფის მსროლელმა-რადისტმა ოტზაისლერმა, რომელიც ტყვედ იქნა წამოყვანილი ნოვოროსიისკის რაიონში, განაცხადა: „მაისის მეორე ნახევარში ჩვენ წაგვიკითხეს ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ზოგიერთ საავიაციო შენაერთში მფრინავები თავს არიდებდნენ რა საბრძოლო ფრენებისა შესრულებას, განზრახ აფუჭებდნენ თავიანთ თვითმფრინავებს. საბოტაჟში მხილებულ მფრინავებს დახვრეტა მიესაჯათ. მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენენ მფრინავებზე ნათესავთა წერილები ინგლისელთა მიერ გერმანიის დასავლეთი რაიონების დაბომბვის შესახებ“.

* * *

სედლეცის მახლობლად პოლონელმა პატრიოტებმა ჯავშანგამტანი ტყვიები დაუშინეს რკინიგზის ეშელონს, რომელსაც ბენზინი მიეჰქონდა. ლოძის მიდამოებში პატრიოტები გარს შემოერტყნენ გერმანელთა სადამსჯელო რაზმს და გაჟლიტეს 27 ჰიტლერელი. კრაკოვის მახლობლად პარტიზანები თავს დაესხნენ ავტოსარემონტო სახელოსნოებს, დაამტვრიეს მთელი მოწყობილობა და დაწვეს 40-ზე მეტი ავტომანქანა. ამავე რაიონში თოფების დაშენით ჩამოგდებულ იქნა გერმანელთა სამგზავრო თვითმფრინავი.

10 ივნისის საღამოს ცნობა

10 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილებანი არ მომხდარა.

* * *

9 ივნისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს მოწინააღმდეგის სულ ცოტა 20 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, აფეთქეს 7 საწყობი საომარი მასალა, ჩაახშეს 3 საარტილერიო ბატარია, ჩასძირეს 1 სატორპედო და 2 საგუშაგო კატერი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა გაჟლიტეს გერმანელთა ერთ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი, დამტვრიეს მოწინააღმდეგის 6 ტყვიამფრქვევი და მოსპეს 2 საარტილერიო ბატარია. ერთ უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა, არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლის დახმარებით, მებრძოლი დაზვერეს გერმანელთა პოზიციები. გაჟლეტილია მტრის 50-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, წამოყვანილია ტყვეები.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში გერმანელთა 8 ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდეს.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით მოწინააღმდეგემ ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარის ძალით, ტანკების დახმარებით, იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. თავდაპირველად ჰიტლერელებმა შეასწრეს რამდენადმე შეეღწიროებინათ ჩვენი მოწინავე ქვეგანაყოფები. გერმანელები უკუგდებულ იქნენ ჩვენი მებრძოლების ცეცხლ-დარტყმით. ბრძოლის შედეგად მტერმა 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა მოკლულთა სახით. დაზიანებულია გერმანელთა 5 ტანკი.

5 ნაწილის მფრინავმა გამანადგურებლებმა აიძულეს მტრის თვითმფრინავი საბჭოთა ტერიტორიაზე დაშვებულიყო. გერმანელი მფრინავები ტყვედ არიან წამოყვანილნი.

* * *

სევსკის რაიონში ჩვენმა დაზვერვამ მოწინააღმდეგის წინა კიდესთან გერმანელი ოფიცრების დიდი ჯგუფი შენიშნა. 5 ნაწილის არტილერისტებმა სროლა ასტეხეს და რამდენიმე ზალპით გაჰფანტეს, და ნაწილობრივ გაჟლეტეს მოწინააღმდეგის ოფიცერთა ეს ჯგუფი. სხვა უბანზე არტილერიის ცეცხლით აფეთქებულია საომარი მასალის საწყობი. დაზიანებულია 2 ტანკი და გაფანტულია გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მტრის 150-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლეტეს, არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლით დანგრეულია მოწინააღმდეგის 14 ძელმიწური საცეცხლე წერტი 10 სატყვიამფრქვევო წერტი, 8 ბლინდაჟი და მიწური, აფეთქებულია 2 საწყობი საომარი მასალა და მოსპობილია მოწინააღმდეგის 17 ავტომანქანა.

* * *

კარელიის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ ქვეითი ჯარის სამი ჯგუფით იერიში მოიტანა 5 ნაწილის პოზიციებზე. ჩვენი ქვეგანაყოფების კონტრიერიშით მტრის ქვეითი ჯარი უკუგდებულ იქნა თავდაპირველ პოზიციებზე. ბრძოლის შედეგად გაჟლეტილია მოწინააღმდეგის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

მინსკის ოლქში მოქმედი რაზმის პარტიზანთა ჯგუფი თავს დაესხა გერმანელთა კოლონას და 47 ჰიტლერელი მოსპო. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 3 დაზგის ტყვიამფრქვევი, 39 შაშხანა და ბევრი ვაზნა. პარტიზანებმა რაზმისა „სიკვდილი ფაშიზმს“ გერმანელთა 2 ტანკი დასწვეს და 70 ჰიტლერელი გაჟლიტეს. პარტიზანულმა რაზმმა „წითელმა დროშამ“ ერთი დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 3 სამხედრო მატარებელი. დამტვრეულია 2 ორთქლმავალი და 47 ვაგონი და პლატფორმა. პარტიზანებმა დიდ დასახლებულ პუნქტში დასწვეს 12 საწყობი თივა და მარცვლეული, რაც ჰიტლერელებს გერმანიაში გასაგზავნად ჰქონდათ გამზადებული.

* * *

პარტიზანების მხარეზე გადასულმა გერმანიის 102-ე სარეზერვო ბატალიონის ჯარისკაცმა კურტ ვ-მ განაცხადა: „სარეზერვო ბატალიონი ზურგში იმყოფებოდა და ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებდა. იგი დაკომპლექტებულია ხნიერი ჯარისკაცებით, რომელთაც უკვე დიდიხანია მობეზრდათ ომი. ჯარისკაცებს ეშინოთ, რომ, თუ ომი გაჭიანურდა, ჩვენს ბატალიონსაც გაჰგზავნიან მოწინავე პოზიციებზე. ერთი წლის წინათ მტკიცედ ვიყავით დარწმუნებული, რომ გერმ[illegible] ვებს. ახლა ასეთი რწმენა არავის აღარა აქვს. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვეტე რუსების მხარეზე გადმოვსულიყავი. ფრონტის ხაზამდე დიდი მანძილი იყო, ეს გზა სარისკოდ მიმაჩნდა, პარტიზანებისაკენ წავედი და ტყვედ დავნებდი. სამი კვირა ვიარე პარტიზანებთან ერთად და დავრწმუნდი, რომ ამ რაიონში ისინი სრული ბატონ-პატრონები არიან. მალე პარტიზანებმა საბჭოთა ჯარის ნაწილის შტაბში გადმომგზავნეს“.

საქართველოს მშრომელებმა ახალ სესხზე ხელი მოაწერეს 439.878.000 მანეთის რაოდენობით

საქართველოს სს რესპუბლიკაში მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერა დიდი წარმატებით გრძელდება. საქ. სახშმ ნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს არასრული ცნობებით, რესპუბლიკაში 10 ივნისის საღამოს 8 საათისათვის შუა-მოსამსახურეებს სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდათ 194.131.000 მანეთის რაოდენობით, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს—196.294.000 მანეთზე, კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებს — 49.453.000 მანეთზე. სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში სესხზე ხელის მოწერის თანხა შეადგენს 439.878.000 მანეთს, რაც 125.878.000 მანეთით აღემატება სარეალიზაციოდ ნავარაუდევ თანხას. სესხზე ხელმოწერის საერთო თანხიდან ნაღდად შეტანილი აქვთ: კოლმეურნეებს—151.923.000 მანეთი, კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებს — 27.784.000 მანეთი.

10 ივნისის საღამოს 8 საათისათვის ქალაქ თბილისში სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენდა 85.597.000 მანეთს. აქედან ხელმოწერილია: 26 კომბინატის რაიონში — 17.283.000 მანეთზე, ბერიას რაიონში —16.175.000 მანეთზე, სტალინის რაიონში— 15.336.000 მანეთზე, ლენინის რაიონში —12.929.000 მანეთზე, ორჯონიკიძის რაიონში—9.423.000 მანეთზე, კიროვის რაიონში—7.885.000 მანეთზე, მოლოტოვის რაიონში—6.566.000 მანეთზე.

აღნიშნული დროისათვის აბხაზის ასს რესპუბლიკაში სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა შეადგენდა 24.257.000 მანეთს (აქედან ნაღდად შეტანილია 7.133.000 მანეთი), აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში —32.776.000 მანეთს (აქედან ნაღდად შეტანილია 12.819.000 მანეთი. ცნობები 9 ივნისის საღამოს 8 საათისა), სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—16.249.000 მანეთს (ნაღდად შეტანილია 7.077.000 მანეთი), ქალაქ ჟუთაისში—8.964.000 მანეთს.

ბორის რაიონის კოლმეურნეებს სესხზე ხელი მოწერილი აქვთ 13.814.000 მანეთის რაოდენობით (აქედან ნაღდად შეტანილია 10.939.000 მანეთი), სიღნაღის რაიონში — 7.235.000 მანეთზე (ნაღდად შეტანილია 4.933.000 მანეთი), გურჯაანის რაიონში — 9.180.000 მანეთზე (ნაღდად შეტანილია 5.931.000 მანეთი), წითელწყაროს რაიონში—8.061.000 მანეთზე (ნაღდად შეტანილია 4.239.000 მანეთი), ლაგოდეხის რაიონში— 2.815.000 მანეთზე (ნაღდად შეტანილია 2.311.000 მანეთი), ქარელის რაიონში — 4.496.000 მანეთზე (ნაღდად შეტანილია 3.166.000 მანეთი).

სესხზე ხელმოწერის თანხები მთლი

ახალი სესხის უდიდესი წარმატება

საბჭოთა პატრიოტები ერთსულოვნად აწერენ ხელს მეორე სამხედრო სესხზე. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): გურჯაანის რაიონის სოფ. ბოგდანოვკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბუხჰალტერი **ზაქარია გულიაშვილი** (სესხზე ხელი მოაწერა 100.000 მანეთზე), გორის რაიონის ზემო ნიქოზის, ქვემო ნიქოზის და დიცის კოლმეურნეობების თავმჯდომარეები **ანტონ მჭედლიძე, ვასო საძაგლიშვილი** და **ვანო კენჭაძე**, რომელთაც ხელი მოაწერეს 25.000 მანეთზე თითოეულმა. აღნიშნულმა პირებმა ეს თანხები ნაღდად შეიტანეს.

კასპის რაიონი

კასპი („კომუნისტის“ საკ. კორ.). 10 ივნისს დღის 12 საათისათვის სესხზე ხელმოწერის თანხა რაიონში შეადგენდა 5.747.000 მანეთს, აქედან ნაღდად შეტანილია 4.192.000 მანეთი.

სოფ. გოსტიბეს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ხელი მოაწერეს 115.000 მანეთზე და ეს თანხა მთლიანად დაჰფარეს. ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აპრამ წიკლაურმა ხელი მოაწერა 7.000 მანეთზე და ეს თანხა იქვე შეიტანა.

სოფ. ხოვლეს № 3-ის კოლმეურნეობის წევრებმა ხელი მოაწერეს 108.000 მანეთზე და ეს თანხა მთლიანად შეიტანეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიგუცა ჯანანაშვილმა 10.000 მანეთი ხელის მოწერისთანავე შეიტანა სალაროში.

მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირებმა გრიგოლ ზაპადნოიმ, შალვა მცურავიშვილმა, ალექსანდრე გურწაშვილმა, ტრაქტორისტმა გიგუცა ხალოშვილმა ხელი მოაწერეს 5.000 მანეთზე თითოეულმა და ხელმოწერის თანხა ნაღდად შეიტანეს. ტრაქტორისტებმა ნიკოლოზ ზანგურმა, ალ. გუგულაშვილმა და ილო ყაზარაშვილმა ხელი მოაწერეს 4.000 მანეთზე თითოეულმა, რაც მაშინვე დაჰფარეს. მთლიანად მტს-ის მუშაკებმა ორ-ორი თვის ხელფასზე მოაწერეს ხელი.

ვ. ბუზალაძე

ჭიათურის რაიონი

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონში 10 ივნისის დილისათვის მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენდა 4.197.000 მანეთს. აქედან კოლმეურნეების მიერ ნაღდად შეტანილია 1.531.000 მანეთი.

ნიგოზეთის კოლმეურნეებმა ხელი მოაწერეს 246.000 მანეთზე და ეს თანხა ნაღდად შეიტანეს. ჩხირეულის კოლმეურნეებმა ხელი მოაწერეს 82.400 მანეთზე, რაც მთლიანად ნაღდად შეიტანეს, სოფ. რგანის კოლმეურნეებმა სესხზე ხელმოწერის თანხა 86.600 მანეთის რაოდენობით იქვე დაჰფარეს.

ჯ. ჭიოკაძე

საჩხერის რაიონი

საჩხერე („კომუნისტის“ საკ. კორ.). საჩხერის რაიონში 10 ივნისის დილის 10 საათისათვის მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენდა 5.780.000 მანეთს, აქედან ნაღდად შეტანილია 2.000.000 მანეთი.

სოფ. გორისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დარისპან ყიფშიძემ ხელი მოაწერა 30.000 მანეთის ობლიგაციებზე და ეს თანხა ნაღდად შეიტანა, ამავე კოლმეურნეობის მოანგარიშემ ტარასი კიპაროიძემ და კოლმეურნე ვალიკო ცერცვაძემ ხელი მოაწერეს 15.000 მანეთზე თითოეულმა და ეს თანხები იქვე დაჰფარეს.

სოფელ გოგოლაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ელენე მაჭარაშვილმა ხელი მოაწერა 15.000 მანეთზე, სოფ. კაპანაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მარო კაპანაძემ—12.000 მანეთზე, კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმა ივანე ბუგაძემ, შუშანა სისვაძემ, პლატონ გაფრინდაშვილმა, ბარნაბ კაპანაძემ და პროკოფი ხარჩილაძემ ხელი მოაწერეს 10.000 მანეთზე თითოეულმა. კირბოულის სასოფლო საბჭოში გავრცელებულია 1.140.000 მანეთის ობლიგაციები. აქედან ნაღდად შეტანილია 500.000 მანეთი.

წყალტუბოს რაიონი

წყალტუბოს რაიონში 10 ივნისისათვის ახალ სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენდა 3.714.000 მანეთს. აქედან ნაღდ ფულად შეტანილია 2.100.000 მანეთი.

სოფ. ფარცხანაყანევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ისიდორე ციბაძემ სესხზე ხელი მოაწერა 15.000 მანეთის რაოდენობით, იმავე კოლმეურნეობის წევრმა მექი ლაღაძემ—10.000 მანეთზე, ალექსანდრე კიკვაძემ—7.000 მანეთზე, ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ივანე ციბაძემ ხელი მოაწერა 20.000 მანეთზე, ხოლო კოლმეურნეებმა ტრიფონ თევდორაძემ, ერმალო თევდორაძემ—თითოეულმა 3.000 მანეთზე; სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სერგო ქორიძემ შეიძინა 5.000 მანეთის ობლიგაციები. ხოლო იმავე კოლმეურნეობის წევრებმა ვალერიან ნოცუბიძემ და აკაკი ჭეიშვილმა—თითოეულმა 4.000 მანეთისა. ეს თანხები მათ ნაღდად შეიტანეს.

მაღლაკის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობაში 37 კოლმეურნემ სესხზე ხელი მოაწერა 63.000 მანეთის რაოდენობით, თვით კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ილია ტყეშელაშვილმა ხელი მოაწერა 30.000 მანეთზე, იმავე სასოფლო საბჭოს XVII პარტყრილოების სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხეილ ყორეოლიანმა—20.000 მანეთზე, მაღლაკის თავდაცვა-ავიაქიმის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვარლამ ჯავახაძემ და ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხეილ კვერნაძემ ხელი მოაწერეს 10.000 მანეთზე თითოეულმა. ყველა მათგანმა ხელმოწერის თანხები ნაღდად შეიტანა.

ხ. ფხაკაძე

ცაგერის რაიონი

ცაგერის რაიონის მშრომელებს 9 ივნისს საღამოს 8 საათისათვის ახალ სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდათ 2.743.000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან ნაღდად შეტანილია 1.024.000 მანეთი.

ორბელის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობათა წევრებმა ხელი მოაწერეს 366.000 მანეთის ობლიგაციებზე და აქედან ნაღდად შეიტანეს 145.000 მანეთი. სოფ. ლეშვედის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ეგეგენი სილაგაძემ ხელი მოაწერა 8.000 მანეთზე, კოლმეურნეობის მოანგარიშემ კარლო სილაგაძემ—4.000 მანეთზე, ხოლო კოლმეურნე აკაკი სილაგაძემ—2.000 მანეთზე.

სოფ. ზემო ლაჟანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პეტრე მახარობლიძემ, სოფ. ზემო ორბელის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სამსონ მახარობლიძემ, სოფ. ლაწორის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალექსანდრე სილაგაძემ, სოფ. ქვემო ლუხვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხეილ ბენდელიანმა და სოფ. ქვედა ორბელის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დავით გვიშიანმა ხელი მოაწერეს 5.000 მანეთზე თითოეულმა. ქვიშის სასოფლო საბჭოში კოლმეურნეებმა ხელი მოაწერეს 120.000 მანეთზე, აქედან ნაღდად შეიტანეს 110.000 მანეთი.

ზემო და ქვემო საირმის კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა ალავიძემ და კაბოსენიძემ ხელი მოაწერეს თითოეულმა 5.000 მანეთზე, ამავე კოლმეურნეობის მოანგარიშეებმა უენია ალავიძემ ხელი მოაწერა 6.000 მანეთზე და ვერა ჭოხონელიძემ—3.500 მანეთზე, სამამული ომის მონაწილემ კოლმეურნე იონა ალავიძემ ხელი მოაწერა 2.200 მანეთზე, ხოლო ვალიკო ალავიძემ — 1.800 მანეთზე. ხელმოწერა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომის მდივანი
რ. მურცხვალაძე

ასპინძის რაიონი

ასპინძის რაიონში 9 ივნისის დღის 12 საათისათვის სესხზე ხელმოწერის თანხამ 3.272.000 მანეთს მიაღწია. კოლმეურნეებმა ხელი მოაწერეს 2.570.000 მანეთზე, აქედან ნაღდად შეიტანეს 2.370.000 მანეთი. კოლმეურნეობებმა ხელი მოაწერეს 411.000 მანეთზე და ამ თანხიდან ნაღდად შეიტანეს 245.000 მანეთი.

სოფ. საროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ასპანიძემ ხელი მოაწერა 15.000 მანეთზე. სოფ. კბარშის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალი აიდინ ოღლიმ ხელი მოაწერა 14.000 მანეთზე და თანხა ნაღდად შეიტანა. სოფელ შალოშეთის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ყამალბაი ოღლიმ, სოფ. ნიალას XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალიევმა, სოფ. ზველის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დავრიშევმა, სოფ. არდახის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ყადირ ნაბირ-ოღლიმ და სოფ. კბარშის კოლმეურნემ აბდულ გაბლიოღ-ოღლიმ ხელი მოაწერეს თითოეულმა 10.000 მანეთზე და თანხა მთლიანად შეიტანეს. სოფ. შადრევნის ორგონიკიძის სახელობის კოლმეურნე ქალმა მექადარ ყაფალ-ყზნიმ, რომელსაც სამი შვილი ფრონტზე ჰყავს, ხელი მოაწერა 4.000 მანეთზე. სესხზე ხელმოწერა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ასპინძის რაიკომის მდივანი
ი. ძიბისაშვილი

დეპეშები

ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 8 ივნისი (საკდესი). რეიტარის საგენტო გადმოგვცემს, რომ ჩერჩილმა ვაშინგტონსა და ჩრდილოეთ აფრიკაში თავისი უკანასკნელი მგზავრობის შემდეგ პირველად წარმოსთქვა სიტყვა თემთა პალატაში. ჩერჩილს ხანგრძლივი ტაშისცემით შეხვდნენ.

ჩერჩილი შეეხო რუზველტთან თავის შეხვედრას და განაცხადა:

„პრეზიდენტთან მოლაპარაკების შემდეგ მე საჭიროდ ჩავთვალე მაისის დამდეგს ჩვენი გენერალური შტაბების ხელმძღვანელებთან და ოფიცრებისა და მდივნების ძალიან დიდ ჯგუფთან ერთად, რომელთა რიცხვი თითქმის 100 კაცს უდრიდა, მესამეჯერ გავმგზავრებულიყავით ვაშინგტონს, რათა საერთო თვალსაზრისით განგვეხილა და შეგვეფასებინა წარმატება ტუნისში, რომელიც იმ დროისათვის უკვე საესებით გამოირკვა, და რათა მისგან მაქსიმალურად შესაძლებელი სარგებლობა მიგვეღო. ვაშინგტონში ინგლისელ და ამერიკელ ლიდერებს აეუხსენით მსოფლიო ომის მსვლელობა მთელი მოცულობით, რომელსაც გამარჯვების კეთილი ნთელი ეფინება. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია თავი გავართვათ კატასტროფას. ჩვენ კიდევ უნდა დავამტკიცოთ, რომ შეგვიძლია დავრჩეთ ბედნიერ მოვლენათა სიმაღლესა და დონეზე და ვიყოთ წარმატების ღირსნი. შესაძლოა, ეს ყველა ამოცანაზე უფრო უძნელესი აღმოჩნდეს.

ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მე ვცდილობ თუნდაც საერთო ხაზებით მოგცეთ ანგარიში ჩვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ. ერთად-ერთი რამ, რის თქმაც შეიძლია, ის არის, რომ ჩვენ ყოველივე გავაკეთეთ, რაც კი შეგვეძლო. ორივე მთავრობას შორის მიღწეულია სრული თანხმობა მომავალ ღონისძიებათა შესახებ. პოლიტიკოსებსა და სამხედროთა შორის არ ყოფილა არავითარი უთანხმოება, ხმის მსგავსი, რომლებიც აღნიშნული იყო წარსულ ომში და რომლებიც გარდუვალია მომქედებაში ჩაბმული ძალების ოდენობის გამო. მე განზრახვა არა მაქვს ვიწინასწარმეტყველო, თუ რა მოხდება მომავალში და მით უმეტეს ახლო მომავალში. ერთადერთი რამ, რისი თქმაც შემიძლია, არის ის, რომ ამ ორი კვირის განმავლობაში ვაშინგტონში წარმოებული საუბრის დროს ინგლის-ამერიკის პოლიტიკა, სტრატეგია და ეკონომიკა წარმოადგენდნენ ვულდასმით შესწავლის საგანს“.

„მას შემდეგ,—განაგრძო ჩერჩილმა,—რაც ჩვენ თავი გავართვით ჩვენს ამოცანას ვაშინგტონში, მე ჩემს მოვალეობად ჩავთვალე წავსულიყავი ჩრდილოეთ აფრიკაში, და მეტად კმაყოფილი ვიყავ იმით, რომ პრეზიდენტმა გადასწყვიტა ჩემთან ერთად ვაგზავნა იქ შეერთებული შტატების არმიისა და ავიაციის ხელმძღვანელი გენერალი მარშალი, კაცი მეტად გამოჩენილი თავისი ჭკუითა და ხასიათით. ჩვენ ერთად ვიმგზავრეთ თვითმფრინავით ატლანტიკაში გიბრალტარამდე და ალეირამდე იმისათვის, რომ უფრო კონკრეტულად და დაწვრილებით განგვეხილა ადგილობრივ ხელოთაშუა ზღვის ასპარეზის პრობლემები. იქ რომ მივედით, ერთი კვირის განმავლობაში ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა საფსებით განგვეხილა ყველა საკითხი უმაღლეს მთავარსარდალ ეიზენჰაუერთან, გენერალ ალექსანდერთან და ინგლისისა და ამერიკის უმაღლესი სარდლობის ბევრ წარმომადგენლებთან, რომლებიც სპეციალურად მუშაობენ იმ გეგმების შესასრულებლად, რომლებიც მე შემძლია საუკეთესოდ დავახასიათო, თუ ვიტყვი, რომ ისინი მიმართულია იმისაკენ, რათა მტრის წინააღმდეგ გამოვიყენოთ ძალა უადრესად ინტენსიური და სწრაფი ფორმით“.

ჩერჩილმა მაღალი შეფასება მისცა ჩრდილოეთ აფრიკაში მყოფ ინგლისელების, ამერიკელებისა და ფრანგების ჯარებს, რომლებიც „უმძლავრეს და გამობრძმედილ ძალად იქცნენ“. „ეს ეხება,—განაცხადა ჩერჩილმა,—აგრეთვე უფრო მრავალრიცხოვან და უფრო მძლავრ ჯარებს—ინგლისელთა, კანადელთა და ამერიკელთა ჯარებს, რომლებიც შედგენილი არიან ან სდგებიან შეერთებულ სამეფოში.

საესებით აშკარაა, რომ ახლოდება გადაწყვეტილთა რთული და სარისკო კომბინირებული სახმელეთო და საზღვაო ოპერაციები. მე არ შემიძლია მოგცეთ გარანტია, ისე როგორც ეს არ ჩამიდენია წარსულშიც, იმის შესახებ თუ რა მოხდება. მაგრამ მაინც, მე იმედი მაქვს, რომ არც ბრიტანეთის პარლამენტი, არც შეერთებული შტატების კონგრესი არ მოსტყუდებიან თავიანთ ჯარებში, იქნება ეს ბრიტანეთის კუნძულებზე თუ აფრიკის სანაპიროზე. ყოველ შემთხვევაში, მე შემიძლია დავარწმუნო პალატა იმაში, რომ არც ინგლისისა და არც ამერიკის მხრივ არავითარი ეგოისტური მოტივები არ იჭრებიან საერთო საქმეში. დანარჩენი ეს უნდა მიეანებო მომქედებასა და მოვლენათა მსვლელობას“.

შემდეგ ჩერჩილმა ჯამი გაუკეთა საომარ კამპანიას ტუნისში. მოკავშირეებმა ტყვედ წამოიყვანეს 248.000-ზე მეტი კაცი. მოკლულებთან ერთად მტერმა ტუნისში დაიხოცა 300.000 კაცი დაჭკარგა.

ჩერჩილმა განაგრძო:

„ჩვენ იმისთვისაც კი ვართ მომზადებულნი, რომ ეს ომი მოვიგოთ მძიმე ბრძოლით, და თუ საჭირო იქნება,—მარტო სასტიკი ბრძოლებით“.

„შეიძლება მოხდეს,—ამბობს ჩერჩილი, — რომ დანაშაულებრივი ხალხები, რომლებიც თავდაპირველად ომს აქეზ-ადიდებდნენ, აღფრთოვანდებიან მშვიდობიანობის სიამით ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ომი ვათავდებოდეს. ყოველ შემთხვევაში. უეჭველია, სამართლიანი იქნებოდა, რომ ომის დამთავრების მომენტი განსაზღვრონ თავიანთი შეხედულებით არა იმ ადამიანებმა, რომლებმაც თავიანთი შეხედულებით განსაზღვრეს მისი იარაღების მომენტი (ტაში). ყოველივე ეს ზოგადი ხასიათის შენიშვნებია, მაგრამ ეს ეპას როდი ნიშნავს, რომ მათ კონკრეტული მნიშვნელობა არა ჰქონდეთ (ტაში).

მე საჭიროდ მიმაჩნია ნათლად გვგაგებინოთ, რომ ოპერაციებს ევროპის ასპარეზზე, —ახლა გარდუვალს, — სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ომის საერთო გეგმაში.

მე ძალიან გეუხვარ, რომ ჩვენ არ შეგვეძლო მოვთათბირებოდით მარშალ სტალინს ან ჩვენი დიდი მოკავშირის — რუსეთის სხვა წარმომადგენლებს, რუსეთისა, რომელსაც უადრესად მძიმე ტვირთი გადაეკვა და უდიდესი მსხვერპლი მიეკვა სისხლითა და ადამიანთა სიცოცხლით; მაგრამ მე შემიძლია დავარწმუნო პალატა, რომ ფიქრი იმის შესახებ, რათა შეეუმსუბუქოთ რუსეთის ნაწილი იმ ტვირთისა, რომელიც მას აწევს, უფრო სწრაფი და ეფექტიანი დახმარება აღმოვუჩინოთ ჩინეთს და უზრუნველყოთ უფრო მეტი უშიშროება ჩვენი მხურვალედ საყვარელი ავსტრალიისა და ახალი ზელანდიისთვის, ერთი წუთითაც კი არ გვშორდებოდა და თავისი ადგილი ეკავა ჩვენ მიერ დასახულ მიზნებში“.

ჩერჩილმა აღნიშნა ომის სხვადასხვა ასპარეზის თავისებურებანი და განაცხადა: „ჩვენ, ინგლისელებმა, წინანდებურად პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ ომი წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ, იმიტომ რომ ჩვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ და ვიმოქმედოთ მხოლოდ მაშინ, როცა წყალქვეშა ნავებს დაეძლევთ. ამერიკის ძლიერება ვითარდება შორს წყნარ ოკეანეში, ავიწროებს რკალს იაპონიის შორი თავდაცვის გარშემო და ყოველ წუთს უგზავნის იაპონიის ფლოტს საზღვაო ომის უდიდეს გამოწვევას. რუსეთის არმიები, როგორც უკვე განვაცხადე ამერიკის კონგრესში, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევიან გერმანელთა დაახლოებით 190 დივიზიასთან და გერმანიის სატელიტების 28 დივიზიასთან 3.200 კილომეტრ სიგრძის ფრონტზე. სწორედ იქ არის მოსალოდნელი აუცილებელი უდიდესი ბრძოლები. შემდეგ, არსებობს ომი ჰაერში. გერმანიისა და იაპონიის ავიაციის განუწყვეტელი გამოფიტვა ულმობლად გრძელდება. მტერი, რომელიც ფიქრობდა, რომ ჰაერი იქნებოდა მისი გამარჯვების იარაღი, ახლა ამყოვანებს, რომ ჰაერი არის მისი დაცემის პირველი მიზეზი. მე ნათლად უნდა გაგაგებინოთ, რომ, რამდენადაც ეს ეხება ინგლისის მთავრობასა და დომინიონების მთავრობებს, აგრეთვე ა. შ. შტატებისა და სსრ კავშირის მთავრობებს, ეერაფერი ვერ აგვაღებინებს ხელს ჩვენს ღონისძიებებზე და ჩვენს განზრახვაზე განვახორციელოთ სრული მოსპობა ჩვენი მტრებისა სამეერო დაბომბვის დახმარებით, ყოველი სხვა მეთოდების დამატებით (ტაში). ახლა, როცა ომის ეს ფორმა, რომლის შემწეობითაც მტრები ცდილობდნენ ბატონობა მოეპოვებინათ მსოფლიოზე, აშკარად ჩათს წინააღმდეგ შებრუნდა, ისინი ხმამაღლა და საბალალოდ იწყებენ გმობის მოთქმას. გმობის ამ მოთქმას ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ როგორც ჩვენი იერიშის მზარდი ეფექტიანობის უაღრესად დამაკმაყოფილებელ დამამტკიცებელ საბუთს“.

ჩერჩილი შეჩერდა წყალქვეშა ნავებთან ბრძოლაზე და განაცხადა. რომ „ჩვენი ზარალის ციფრები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ვშიშობდით, ხოლო მშენებლობამ გაცილებით გადააჭარბა ამერიკელი ხალხის მიერ დასახულ გეგანტურ პროგრამებს. მიმდინარე წლის მაისი საუკეთესო თვე იყო 1941 წლის დასასრულიდან იმ მიწოდებათა მხრივ, რომლებიც მშვიდობიანად მოვიდნენ ჩვენს კუნძულზე. ჩვენ მიერ და ამერიკელების მიერ ახლადაგებული გემები ჩვენს ზარალს სჯობობენ უფრო მეტი პროპორციით, ვიდრე 3:1“.

„მე დარწმუნებით ვფიქრობ,—განაცხადა ჩერჩილმა,—რომ წყალქვეშა ომი დაბრკოლებად ვერ გადაელობება გაერთიანებულ ერებს მათი საბოლოო გამარჯვების გზაზე; ამავე დროს კი საჰაერო ომის მასშტაბი და სისასტიკე გაიზრდება“.

ჩერჩილი შეეხო დე გოლისა და ეროს მოლაპარაკებას და განაცხადა: „ჩვენ ყველანი მოხარულნი ვიყავით. რომ მიღწეულ იქნა შეთანხმება და შეიქმნა საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი, რომელიც ერთადერთ მთავრობას წარმოადგენს ყველა ფრანგისათვის, რომლებიც ისწრაფვიან გაათავისუფლონ საფრანგეთი გერმანელთა უღლისაგან“.

„ნება მიბოძეთ მოკლე რეზიუმე გავუკეთო ახლა ამ ორ ძირითად შეთანხმებულებას, რომლებიც, — განაცხადა დასასრულ ჩერჩილმა,—მე ამ მგზავრობიდან გამოვიტანე. პირველი—ეს არის ჩრდილოეთ აფრიკაში ინგლისისა და მოკავშირეთა არმიების საუცხოო მორალური მდგომარეობა და ორგანიზაცია. მეორე—ეს არის ის სიახლოვე და სიმტკიცე კავშირისა, რომელიც ახლა ერთიანებს ინგლისისა და ამერიკის მთავრობებს, ინგლისელ და ამერიკელ ხალხებს. ყოველგვარი უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა თვალსაზრისში, ყოველგვარი წვრილმანი მოსაბეზრებელი გაუგებრობა აუცილებლად წარმოიშვება, სანამ ჩვენ შრომასმოყვარეულად მიდივართ ერთად ოღრო-ჩოღრო გზით, რომელიც ომმა გაართულა, მაგრამ არც ერთი ამ უთანხმოებათაგანი ოდნავადაც არ უშლის ხელს სულ უფრო მზარდ ჰარმონიას და ერთიანობას ჩვენს რიგებში. და არ არის ისეთი უთანხმოება, რომლის მოგვარებაც არ შეიძლებოდეს პირადი გულწრფელი და მეგობრული საუბრის და ღინჯი არგუმენტების გზით. ჩემი პირადი ურთიერთობა შეერთებული შტატების გამოჩენილ პრეზიდენტთან (ტაში) ომის ამ წლების განმავლობაში პიროდი მეგობრობისა და პატივისცემის დამოკიდებულებად იქცა, და ქვეყნად არაფერს არ შეუძლია გვაიძულოს ურო ვთქვათ ჩვენს ამხანაგობასა და თანამეგობრობაზე ფიქრებსა და მოქმედებაში. სანამ დაკისრებული გვექნება პასუხისმგებლობა საქმეთა წარმოებისათვის“.

ინგლისელ-ამერიკელ ოფიცრებმა ვაშინგტონში საკითხების შესახებ-გაერთიანებულ ერთა კონფერენციის დელეგაციების მიღებაზე

ვაშინგტონი, 7 ივნისი (საკდესი). შიესალიარაღი, ანალ ეროთრ სახლში გაერთიანებული ერების დელეგაციებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამას წინათ დამთავრებული კონფერენციის მუშაობაში ომისშემდგომ სასურსათო საკითხებზე რუზველტმა განაცხადა:

„ამ კონფერენციას არ შეიძლებოდა დიდი მნიშვნელობა არა ჰქონოდა, ვინაიდან იგი გაერთიანებული ერების პირველი კონფერენციაა. მაგრამ მისმა წარმატებამ ჩვენს მოლოდინს, გადააჭარბა. მიაღწიეთ რა თვალსაზრისის ერთიანობას რთულ და ძნელ პრობლემებში, თქვენ ცხადყავით, რომ გაერთიანებული ერები ერთიანი არიან ომი მარტო ომის წარმოებაში არამედ ბევრი ძნელი მშვიდობიანი პრობლემის გადაჭრაშიც“.

აღმანელი პარტიზანების თავდასხმა იგალიელ ოკუპანტთა ჯარებზე

სტამბოლი, 8 ივნისი (საკდესი). მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ ალბანელი პარტიზანების დიდი რაზმი ამას წინათ წარმატებით დაესხა თავს იტალიელთა ჯარის ნაწილს ალბანეთის ერთ-ერთ მთიან რაიონში. ბრძოლებში პარტიზანებმა დიდი ზარალი მიაყენეს ოკუპანტებს. პარტიზანების სხვა ჯგუფი თავს დაესხა იტალიელთა ავტომანქანების კოლონას, რომელიც ტირანიდან (სამხედრო ტვირთით მიდიოდა. მანქანების უმრავლესობა დამსხვრეულ იქნა. ფაშისტთა სარდლობამ ამ რაიონში დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა. დამსჯელ ექსპედიციასა და პარტიზანებს შორის მომხდარ გაფთრებულ შეტაკებაში ფაშისტები სასტიკად იქნენ დამარცხებულნი.

ორმა გაერთიანებულმა პარტიზანულმა რაზმმა ოკუპანტებისაგან გასწმინდა გეინოკასტროს რაიონის მნიშვნელოვანი ტერიტორია. ამას წინათ იტალიელებმა სცადეს გაენედევნათ პარტიზანები ამ რაიონიდან, ნაგრამ ოკუპანტები პარტიზანების მეზგარ წ�ომდეგობას წაეყენენ. ოკუპანტები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, ამასთან მათ დიდი ზარალი მოუვიდათ.

მუშების მასობრივი გაქცევა იგალიის საწარმოებიდან

ლონდონი, 5 ივნისი (საკდესი). ალეირის რადიო გადმოგვცემს, რომ იტალიელი მუშები, რათა თავს უშველონ დაბომბვისაგან, გარბიან ქარხნებიდან. ამ გაქცევამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ იტალიის მთავრობამ ამ დღეებში გამოსცა დეკრეტი, რის ძალითაც მუშები, რომლებიც სამუშაოს სტოვებენ, სამხედრო ტრიბუნალების სამართალში მიიცემიან. იტალიაში შექმნილია სპეციალური შეიარაღებული რაზმები საწარმოებიდან გაქცეულ პირთა დასაპატიმრებლად.

მარიოს რადიო აცხადებს, რომ ამჟამად ტარდება სამოქალაქო მოსახლეობის საყოველთაო ევაკუაცია კალიარიდან (კუნძული სარდინია).

ლიტერატურა და მოხსენებები

11 ივნისს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამბ. ხულიანის ლექცია რუსულ ენაზე: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“.** ბილეთების მიღება შეიძლება პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

14 ივნისს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკაში (კეკელიძის ქ. № 5) შესდგება ამბ. **ფრიშენბერგის** ლექცია თემაზე: **„დიდი სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და საერთაშორისო მდგომარეობა“.** დასწრება თავისუფალია.

თეატრებში

11 ივნისს: სახოპერა—„ტოსკა“. რუსთაველის სახელობის—„სამშობლო“. მარჯანიშვილის სახელობის—„მეფე ერეკლე“. მუსიკალური კომედიის—„არშინ-მალ-ალან“. მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი—„წითელქუდა“. მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი—„კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო“.

კინოებში

რუსთაველის სახ. — „ლედი ჰამილტონი“, **ოქტომბერი**—„ანტონა რიბკინი“, **დამკერელი**—„შავზღველები“, **კომკავშირელი** და **ლუნასმბურგის სახ.**—„ირანი“, **26 კომ. სახ.**—„ბაბუკი ჩვენი ქალაქიდან“, **მეცნიერება და ცოდნა**—„ხიდი“, **კომინტერნი**—„ზეცა“, **ორჯონიკიძის პარკი**—„საიდუმლო კუნძული“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ბესარიონ ბელინსკი

(გარდაცვალების 95 წლისთავის გამო)

გენიალურმა კრიტიკოსმა და პუბლიცისტმა, დაუცხრომელმა რევოლუციონერმა დემოკრატმა ბესარიონ ბელინსკიმ რუსულ ლიტერატურას პირველმა მისცა მეცნიერული თეორია; მან ღრმა კვალი გაავლო ჩვენი ქვეყნის განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში. ბელინსკის სახელი საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით არის მოსილი. პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, გრიბოედოვის მხატვრული შემოქმედების გენიალურ ანალიზთან ერთად ბელინსკიმ აღზარდა რუსი მწერლების ბრწყინვალე თაობა, რომლებმაც წინ წასწიეს მხატვრული სიტყვა. განუზომელი იყო ის გავლენა, რომელიც ბელინსკიმ მოახდინა მთელი ჩვენი ქვეყნის ლიტერატურაზე. იგი სამართლიანად არის მიჩნეული რუსული ლიტერატურული კრიტიკის ფუძემდებლად. მის სიამაყედ, და რა სწორად სთქვა დობროლიუბოვმა თავის დიდ მასწავლებელზე: „რაც არ უნდა დაემართოს რუსულ ლიტერატურას, რა საუცხოოდაც არ უნდა განვითარდეს იგი, ბელინსკი ყოველთვის იქნება მისი სიამაყე, მისი დიდება, მისი სილამაზე“.

ბესარიონ გრიგოლის-ძე ბელინსკი დაიბადა 1811 წლის 13 ივნისს სვეაბორგში, ექიმის ოჯახში. სწავლობდა ჩემბარში. შემდეგ პენზის გიმნაზიაში, საიდანაც გარიცხეს „ეკეთილებზე დაუსწრებლობისათვის. მძიმე ოჯახურმა პირობებმა ჭაბუკობიდანვე შეარყია მისი ფიზიკური მდგომარეობა. ახალგაზრდა ბელინსკი მიდის მოსკოვში, გამოცდებს აბარებს უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტზე. მოსკოვში იგი უახლოვდება სახელგანთქმული სტანკევიჩის ფილოსოფიურ წრეს, გატაცებულია შელინგის მოძღვრებით, შილერის გავლენით 1831 წელს სწერს დრამატიულ ნაწარმოებს „დიმიტრი კალინინს“, რომელშიც ბრძოლას უცხადებს მეფის თვითმპყრობელობას და ბატონყმობას. ოცი წლის ახალგაზრდა ასეთი რადიკალური იდეებით აამეტყველებს თავის გმირს დიმიტრი კალინინს, რომელიც სოფიას ეუბნება: „როცა კანონება ეწინააღმდეგებიან ბუნებისა და კაცობრობის უფლებებს, თვით გონების უფლებას, მაშინ ადამიანს შეუძლია და კიდევაც

უნდა დაარღვიოს ისინი“. ამ თავისუფლების ძლიერმა ოდამ ბელინსკის უნივერსიტეტი დაატოვებინა.

„შმაგი ბესარიონი“, როგორც მას სტანკევიჩის წრეში უწოდებდნენ, ვეღარ კმაყოფილდება შელინგის ფილოსოფიით და მიაშურებს ფიხტეს. 1834 წელს ნადეჟდინის „მოლვაში“ პირველად იბეჭდება ბელინსკის დიდი წერილი „ლიტერატურული ოცნებანი“, რომელიც ერთბაშად მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და მის ავტორს ნიჭიერი კრიტიკოსის სახელი მოუხვეჭა. შემდეგ თითქმეტ წელს გრძელდება ბელინსკის უდიდესი თეორიული მუშაობა. ბაკუნინის გავლენით ბელინსკი ეცნობა ჰეგელს, სტოვეს ფიხტეს და არასწორად გაგებული ჰეგელი მას „სინამდვილესთან შერიგების“ გზაზე დააყენებს. ბელინსკ